შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 13608

18/05/2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. გადაეცეს სსიპ- ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე, სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული დენის ტრანსფორმატორი "TM 400 კვა 10კვ" საბალანსო ღირებულებით 8000 (რვა ათასი) ლარი.
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველომ უზრუნველყოს სსიპ-ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული, ქონების გადაცემა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინასური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროსი თორნიკე ხელთუფლიშვილი.
4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსს.
5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი